საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030180589672518

№ 01-40/ო **07 / თებერვალი / 2018 წ.**

პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასების საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით, „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის N01-2/ნ ბრძანების 8^3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასების საკოორდინაციო ჯგუფი (შემდგომში - საკოორდინაციო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) მარინა დარახველიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) ავთანდილ თალაკვაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

დ) ნათია ნოღაიდელი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ე) ვერა ბაზიარი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი, კოორდინატორი;

ვ) მარინე ბაიდაური - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ზ) ეკა კაპანაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დაგეგმარების, ხარისხისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის დაგეგმარების სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

თ) ანა თომაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დაგეგმარების, ხარისხისა და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის გამოძახების მართვისა და ჰოსპიტალიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ი) გიორგი გოლიჯაშვილი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის დედათა და ბავშვთა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

კ) ირმა ბურდულაძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ -სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ლიცენზიებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტის უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი;

ლ) ლელა შენგელია - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი, საკოორდინაციო ჯგუფის წევრი.

2. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობა ეთხოვოთ:

ა) ხათუნა ლომოურს - ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ პედიატრიის N1 დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, შპს „მე-5 კლინიკური საავადმყოფოს“ ახალშობითა რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

ბ) მაია უჩანეიშვილს - შპს კლინიკა „ჰერას“ ნეონატოლოგი, ა(ა)იპ „ბავშვთა ჰოსპისის“ ხელმძღვანელი;

გ) მარიკა პეტრიაშვილს - სს „ჩაჩავას კლინიკის“ ნეონატოლოგი, საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ევროპის ნეონატოლოგიური და პერინატოლოგიური გაერთიანების აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

დ) ნიკოლოზ კინტრაიას - ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

ე) აკაკი ბაქრაძეს - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი;

ვ) ნოდარ ზალდასტანიშვილს - შპს კლინიკა ,,ჰერას“ სამედიცინო დირექტორი;

ზ) მამუკა ნემსაძეს - შპს „მე-5 კლინიკური საავადმყოფოს“ სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

3. დაევალოს საკოორდინაციო ჯგუფს:

ა) სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ წარდგენილი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის (მოხსენებითი ბარათისა და ოქმის) განხილვის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება პერინატალური სამსახურებისთვის:

ა.ა) პერინატალური რეგიონალიზაციის დონის მინიჭების შესახებ;

ა.ბ) პერინატალური რეგიონალიზაციის დონის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

ა.გ) მინიჭებული პერინატალური რეგიონალიზაციის დონის ვადამდე ცვლილების შესახებ.

ბ) მოისმინოს და შეაფასოს სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მონიტორინგის კვარტალური შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს სათანადო რეკომენდაციები;

გ) სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის მიერ პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მონიტორინგის ან სხვა, კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის (მ.შ. საჩივარი/განცხადება კონკრეტულ დაწესებულებასთან დაკავშირებით) მიწოდების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილებას პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების მიმართ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე, ამ ბრძანების მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით.

4. საკოორდინაციო ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) მოამზადოს რეკომენდაციები ქვეყანაში პერინატალური რეგიონალიზაციის პროცესის სრულყოფის მიზნით;

ბ) განახორციელოს მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქცია რეგიონალიზაციის პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფის მიმართულებით;

გ) თავის კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის საჯარო ინფორმაცია სამთავრობო, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციებისაგან;

დ) მოამზადოს წინადადებები საკოორდინაციო ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ე) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

5. ამ ბრძანების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საკოორდინაციო ჯგუფი წერილობით მიმართავს სააგენტოს კონკრეტული პერინატალური სერვისის განმახორციელებელი დაწესებულების გადამოწმების შესახებ და ისმენს შემოწმების შედეგებს.

6. საკოორდინაციო ჯგუფი განიხილავს სააგენტოს მიერ წარდგენილ, ამ ბრძანების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას პერინატალური სამსახურისთვის:

ა) პერინატალური რეგიონალიზაციის დონის გაუქმების შესახებ;

ბ) პერინატალური რეგიონალიზაციის დონის ცვლილების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

7. საკოორდინაციო ჯგუფის სხდომები იმართება საჭიროების შემთხვევაში.

8. საკოორდინაციო ჯგუფის სხდომა იმართება წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.

9. სააკოორდინაციო ჯგუფის სხდომას ხელმძღვანელობს საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე.

10. საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკოორდინაციო ჯგუფის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის ხმა.

11. საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით საკოორდინაციო ჯგუფმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრის გამართვის შესახებ.

12. საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება მოწვეულ იყვნენ გარეშე პირები (დარგის სპეციალისტები).

13. საკოორდინაციო ჯგუფის გადაწყვეტილება სათანადოდ აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საკოორდინაციო ჯგუფის სხდომის ხელმძღვანელი და სხდომის კოორდინატორი.

14. სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს სხდომის კოორდინატორი.

15. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სხდომის კოორდინატორი.

16. სხდომის კოორდინატორი ვალდებულია, სხდომაზე განსახილველი საკითხები სათანადო მასალებთან ერთად არანაკლებ სამი დღით ადრე მიაწოდოს საკოორდინაციო ჯგუფის ყველა წევრს, მოწვეულ სპეციალისტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

17. საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი:

ა) იწვევს და წარმართავს საკოორდინაციო ჯგუფის სხდომებს;

ბ) განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო განრიგს;

გ) უძღვება საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს საკოორდინაციო ჯგუფის წევრისათვის შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს.

18. საკოორდინაციო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია:

ა) წინასწარ გაეცნოს განსახილველ საკითხებს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, გამოთქვას აზრი და მიაწოდოს საკოორდინაციო ჯგუფს საკუთარი წინადადებები;

ბ) განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

19. საკოორდინაციო ჯგუფის წევრს განსახილველ საკითხთან მიმართებაში ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეუწყდეს საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.

20. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასებისა და პილოტური პროექტის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 20 იანვრის №01-12/ო ბრძანება.

21. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი დავით სერგეენკო